საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -
საქართველოს სასაზღვრო პოლიციის
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
სამმართველო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
SUBORDINATED STATE ENTITY -
BORDER POLICE OF GEORGIA
FINANCIAL-LOGISTICAL SUPPORT
DIVISION

MIA 8 19 01794787

21/06/2019

შპს "გიგანი"-ს დირექტორს
ბატონ ზაზა კიკნაძეს
მის: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N8ა
ტელ: 598-44-22-12

ბატონო ზაზა,

როგორც მოგეხსენებათ, კონსოლიდირებული ტენდერის (განც. ნომერი:**CON180000077**) საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა და შპს „გიგანი“-ს შორის, 2019 წლის 11 მარტს, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N15/3-134 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თქვენმა ორგანიზაციამ აიღო ვალდებულება, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის მიეწოდებინა 17,920.00 (ჩვიდმეტიათას ცხრაასოცი) ლარის ღირებულების მაკარონის, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, ქ.თბილისში, ქიზიყის ქ. N1-ში, რომლის მოწოდებაც არ განხორციელებულა.
მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაერთგზის დარღვევის გამო, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციების მიმართვის საფუძველზე, მიმდინარე წლის 18 ივნისს, შეიკრიბა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან არსებული, სხვადასხვა კვების პროდუქტის 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისია, რომლის N132 ოქმით დადგინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან სისტემაში არსებულმა შემსყიდველმა ორგანიზიაციებმა, შპს „სახელმწიფო კვებითმა უზრუნველყოფამ“ და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა, შეწყვიტონ CON180000077- მაკარონის ნაწარმისა და CON180000095 - შაქრის კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები.
შესაბამისად, ამავე დადგენილების მეორე პუნქტის გათვალისწინებით შეწყდა CON180000077- მაკარონის ნაწარმისა და CON180000095 - შაქრის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები.

0160, ქ.თბილისი, სიმონ კანდელაკის ქ. № 12
ტელ/ფაქსი: (+995 032) 2 41 34 09; (+995 032) 2 38 15 24

12, S. Kandelaki str. Tbilisi 0160, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 41 34 09; (+995 032) 2 38 15 24

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა და შპს „გიგანი“-ს შორის გაფორმებული N15/3-134 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.11 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების საფუძველზე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და ამავე მუხლის შესაბამისად სს „არდი დაზღვევა“-სგან გამოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრულად. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დაკისრებული შესაბამისი ჯარიმების შესახებ გეცნობებათ დამატებით, წერილობითი ფორმით.

გაცნობებთ, რომ „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის N19 ბრძანების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს „გიგანი“-ს შავ სიაში რეგისტრაციის მიზნით შესაბამის ინფორმაციას სააგენტოს აცნობებს შესაბამისი კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისია.

პატივისცემით,

ირაკლი სანაია
სსდ-საქ.სასაზღვრო პოლიციის
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსი